ევროპული ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოები

შედარებითი კვლევა

ივლისი, 2014

სარჩევი

შესავალი 3

ზოგადი მიმოხილვა 3

- მოსამართლეთა განწესების სისტემები 3
- მოსამართლედ არჩევის/დანიშვნის კრიტერიუმები 4
- დატვირთულობა 5

სახელმწიფოთა პრაქტიკა 6

სლოვენია 6

ალბანეთი 10

გერმანია 12

ავსტრია 16

ლიხტანშტაინი 18

უნგრეთი 20

ლიტვა 21

პორტუგალია 23

რუმინეთი 25

იტალია 27

ესპანეთი 28

საფრანგეთი 30

დასკვნა 32

დანართი 33

გამოყენებული ლიტერატურა 42

შესავალი

წინამდებარე კვლევაში განხილულია ევროპის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოები მხოლოდ იმ ევროპულ სახელმწიფოთა მაგალითზე, რომლებშიც საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციებს ასრულებს ცალკე სასამართლო ორგანო და არა უზენაესი სასამართლო (მაგ., ეს უკანასკნელი სისტემა გვხვდება შემდეგ ქვეყნებში: *შვედეთი, დანია, ფინეთი, ნორვეგია, კვიპროსი, ესტონეთი, ირლანდია, ისლანდია, ჰოლანდია* და სხვ.). წინამდებარე დოკუმენტი მიმოიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოებს ევროპულ ქვეყნებში *(სლოვენია, ალბანეთი, გერმანია, ავსტრია, ლიხტენშტაინი, უნგრეთი, ლიტვა, პორტუგალია, რუმინეთი, იტალია, ესპანეთი და საფრანგეთი)* შემდეგი ძირითადი საკითხების მიხედვით:

- საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა და დანიშვნის წესი;
- საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია;
- საკონსტიტუციო სასამართლოს დატვირთულობა.

ზოგადი მიმოხილვა

მოსამართლეთა განწესების სისტემები

არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა განწესების ორი სისტემა (დანიშვნის და არჩევითი) და ყველაზე გავრცელებული – ამ ორი სისტემის ჰიბრიდული მოდელი.

ა) დანიშვნის სისტემა – ამ სისტემის მქონე სახელმწიფოებში **(კვიპროსი, დანია, ფინეთი, ისლანდია, მალტა, ნორვეგია, შვედეთი)**[1] უზენაესი სასამართლო ითავსებს საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციას და, შესაბამისად, არ წარმოადგენს წინამდებარე კვლევის ინტერესის სფეროს.

ბ) არჩევითი სისტემა – არჩევითი სისტემის მქონე სახელმწიფოებში არჩევითი უფლებამოსილების მქონე ორგანო, როგორც წესი, არის პარლამენტის პალატა (**აზერბაიჯანი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიხტენშტაინი, ლიტვა, პორტუგალია, სლოვენია, მაკედონია**), პარლამენტის ქვედა პალატა (**ხორვატია, პოლონეთი**) ან პარლამენტის ორივე პალატის სხდომა (**შვეიცარია**),[2] აგრეთვე, პარლამენტის მოსამართლეთა შერჩევის კომიტეტი (*Judicial Selection Committee*) (**გერმანია –** ეს კომიტეტი დაკომპლექტებულია ბუნდესტაგში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების პროპორციულად).

---

[1] გამონაკლისს წარმოადგენს თურქეთი, სადაც სასამართლოს მიერ კანდიდატის შემოთავაზება ხდება ხმის მიცემით.

[2] საკონსტიტუციო სასამართლოების შემადგენლობა, ვენეციის კომისია (ევროსაბჭო), 1997, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე, გვ. 5.

ამასთან, არჩევით სისტემებს შორის განსხვავებას განაპირობებს კანდიდატების წარდგენაზე უფლებამოსილი ორგანოების მრავალფეროვნება. კანდიდატურების წარდგენის უფლებამოსილება აქვთ: ქვეყნის პრეზიდენტს **(აზერბაიჯანი, სლოვენია),** პარლამენტის ზედა პალატას **(ხორვატია)**, აღმასრულებელ ორგანოს და უზენაეს სასამართლოს **(ლატვია)**, იურიდიულ საბჭოს **(მაკედონია)** ან პარლამენტში წარმოდგენილ პოლიტიკურ პარტიებს **(ლიხტენშტაინი)**. მაგალითად, **ლიტვაში** სამ-სამი კანდიდატის წარდგენის უფლებამოსილება აქვთ პრეზიდენტს, პარლამენტსა და უზენაეს სასამართლოს. **ესტონეთის** შემთხვევაში, პრეზიდენტი წარადგენს სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურას, რომელიც, თავის მხრივ, წარადგენს სხვა მოსამართლეთა კანდიდატურებს.

გ) ჰიბრიდული სისტემა – ჰიბრიდული სისტემა ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელიც მოიცავს როგორც არჩევის, ისე პირდაპირ დანიშვნის პროცედურებს. ზოგიერთ სისტემაში არჩეული და დანიშნული მოსამართლეების თანაფარდობა შეიძლება იყოს თანაბარი, თუმცა, ძირითადად, მაინც არჩევითი კომპონენტი დომინირებს **(სომხეთი, ბელგია)**.

ჰიბრიდული სისტემებით ფუნქციონირებად სახელმწიფოებში კანდიდატურების წარდგენის უფლებამოსილების მქონე ორგანომ შესაძლოა, მოსამართლეთა პირდაპირი დანიშვნაც განახორციელოს **(ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, საქართველო, იტალია, უკრაინა)**. **ბულგარეთში, საქართველოში, იტალიასა და უკრაინაში** დანიშვნის უფლებამოსილება სამად არის გაყოფილი პრეზიდენტს, პარლამენტის არჩევითი უფლებამოსილების მქონე ორგანოსა და სასამართლოს შორის.

ჰიბრიდული სისტემებით მოსარგებლე სახელმწიფოთა გარკვეულ ნაწილში ხდება მოსამართლეთა პირდაპირი დანიშვნა, რაც დამოკიდებულია არჩევითი უფლებამოსილების მქონე ორგანოს დასტურზე **(ჩეხეთი)**. იგივე პრინციპი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა არჩევითი უფლებამოსილების მქონე ორგანო (მაგ., **სლოვაკეთის** ეროვნული საბჭო) ადგენს კანდიდატების სიას, შემდგომ ეტაპზე კი აღნიშნული სიიდან დანიშვნის უფლებამოსილების მქონე ორგანო ნიშნავს მოსამართლეებს.[3]

მოსამართლედ არჩევის/დანიშვნის კრიტერიუმები

მოსამართლედ არჩევის/დანიშვნის კრიტერიუმები სახელმწიფოებში განსხვავდება იმის მიხედვით, საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებს საკონსტიტუციო, თუ უზენაესი სასამართლო.

უზენაესი სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას, როგორც წესი, უზენაესი სასამართლო სრულად დაკომპლექტებულია იურისტებით **(დანია, ესტონეთი, საბერძნეთი, ისლანდია, მალტა, ნორვეგია)**.

[3] იქვე, გვ. 6.

იურისტებისათვის უპირატესობის მინიჭება შეინიშნება იმ სახელმწიფოებშიც, სადაც საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლო **(ალბანეთი, ავსტრია, ბულგარეთი, გერმანია, იტალია, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, მაკედონია**), თუმცა, ზოგიერთი ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლო პირდაპირ უშვებს არაიურისტის სასამართლოს წევრობას, რათა წარმოდგენილ იქნეს გამოცდილების მრავალფეროვანი და ფართო სპექტრი **(სომხეთი, საფრანგეთი, ლიხტენშტაინი)**. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში საკონსტიტუციო სასამართლოები, ძირითადად, მაინც იურისტებით კომპლექტდებიან.

ლიხტენშტაინისა და ბოსნია-ჰერცეგოვინას კანონმდებლობით, ასევე, გათვალისწინებულია უცხოელი მოსამართლეების წარმომადგენლობა საკონსტიტუციო სასამართლოში. მაგალითად, **ლიხტენშტაინის** შემთხვევაში, როგორც წესი, ერთი მოსამართლე არის **შვეიცარიიდან** და ერთი – **ავსტრიიდან**, ხოლო **ბოსნია-ჰერცეგოვინაში კი** სამი მოსამართლე აირჩევა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეზიდენტის მიერ, რომლებიც არ უნდა იყვნენ არც ბოსნია–ჰერცეგოვინისა და არც მეზობელი სახელმწიფოს მოქალაქეები.[4]

დატვირთულობა

ზემოხსენებული საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა განწესების სისტემებში მოსამართლეთა დატვირთულობა განსხვავდება და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის, სასამართლოთა იურისდიქციის ფარგლებზე. ჩვეულებრივ, იმ სახელმწიფოთა საკონსტიტუციო სასამართლოები, რომლებსაც არ აქვთ უფლებამოსილება, განიხილონ ინდივიდუალური განაცხადები, საქმეთა დაბალი რაოდენობით გამოირჩევიან **(ბულგარეთი, პორტუგალია, სომხეთი, საფრანგეთი, თურქეთი**) სხვა სახელმწიფოთა საკონსტიტუციო **(ავსტრია, გერმანია)** და უზენაეს სასამართლოებთან **(ფინეთი, ირლანდია)** შედარებით, რომლებიც ინდივიდუალურ სარჩელებს იღებენ განსახილველად. ინდივიდუალური საქმეების განხილვის შემთხვევაში ხშირად დგება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა შემადგენლობის ოდენობის გაზრდის აუცილებლობა.

ინდივიდუალური სარჩელების გარდა მოსამართლეთა დატვირთულობა შეიძლება, ასევე, განისაზღვროს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლების და საქმეთა დასაშვებობის მოთხოვნების შესაბამისად – საკონსტიტუციო სასამართლოთა უფლებამოსილება შესაძლოა, შეზღუდული იყოს მხოლოდ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებით, როდესაც ის ამოწმებს კანონის კონსტიტუციურობას, ვიდრე მას პარლამენტი მიიღებს **(ფინეთი, საფრანგეთი)**.

[4] იქვე, გვ. 8.

სახელმწიფოთა შედარება

სლოვენია[5]

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა და არჩევის წესი

სლოვენიის საკონსტიტუციო სასამართლო **შედგება 9 მოსამართლისგან**, რომლებიც **აირჩევიან 9 წლის ვადით** სლოვენიის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით პარლამენტის მიერ.[6] საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე არ სარგებლობს განმეორებით არჩევის უფლებით, მაგრამ აგრძელებს თავისი ფუნქციების შესრულებას ახალი მოსამართლის არჩევამდე.[7] საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე აირჩევა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების მიერ მათივე რიგებიდან 3 წლის ვადით. საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც აირჩევა იმავე ვადითა და წესების დაცვით, როგორც პრეზიდენტი.[8]

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება აირჩეს **40 წელს მიღწეული, სლოვენიის მოქალაქეობის მქონე, სამართლის ექსპერტი**.[9]

საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტი ვალდებულია, შეატყობინოს სლოვენიის რესპუბლიკის პრეზიდენტს და პარლამენტს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ვადის გასვლის თაობაზე ვადის გასვლამდე, სულ მცირე, 6 თვით ადრე.[10] შეტყობინების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში რესპუბლიკის პრეზიდენტი ვალდებულია, გამოაქვეყნოს **ვაკანსია** ოფიციალურ გაზეთში. კანდიდატებს განაცხადის გაკეთების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ ვაკანსიის გამოქვეყნებიდან, სულ მცირე, 30 დღის განმავლობაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვაკანსიის გამოცხადების საჭიროება დადგა მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, ვაკანსიის გამოქვეყნებიდან, სულ მცირე, 15 დღის განმავლობაში.[11] რესპუბლიკის პრეზიდენტი წარდგინებას აკეთებს განცხადების საფუძველზე არსებული კანდიდატების სიიდან და სხვა კანდიდატებისგან. ამასთან, მას

---

[5] მოსახლეობის რაოდენობა – 2 061 085.

[6] სლოვენიის კონსტიტუცია, მუხლი 163, იხილეთ, ასევე, სლოვენიის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, მოსამართლეთა შემადგენლობა.

[7] სლოვენიის კონსტიტუცია, მუხლი 165, იხილეთ, ასევე, სლოვენიის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, მოსამართლეთა შემადგენლობა.

[8] სლოვენიის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ აქტი, მუხლი 10.

[9] სლოვენიის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ აქტი, მუხლი 9, იხილეთ, ასევე, სლოვენიის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, მოსამართლეთა შემადგენლობა.

[10] სლოვენიის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ აქტი, მუხლი 11.

[11] იქვე, მუხლი 12.

შეუძლია წარადგინოს იმაზე მეტი კანდიდატი, ვიდრე ვაკანტური ადგილია სასამართლოში.[12]

პარლამენტი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევს ფარული კენჭისყრის საფუძველზე პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდება მოსამართლის არჩევა, რესპუბლიკის პრეზიდენტი ხმის მიცემიდან 14 დღის განმავლობაში თავიდან ატარებს მოსამართლეთა არჩევის პროცედურას. იმ შემთხვევაში. თუ კვლავ ვერ მოხერხდება მოსამართლის არჩევა, რესპუბლიკის პრეზიდენტი ხმის მიცემიდან არაუგვიანეს 8 დღისა თავიდან აქვეყნებს ვაკანსიას დადგენილი პროცედურის მიხედვით. განაცხადის გაკეთების შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, სულ მცირე, 15 დღის განმავლობაში.[13]

იმ შემთხვევაში, როცა რესპუბლიკის პრეზიდენტი წარადგენს იმაზე მეტ კანდიდატს, ვიდრე ვაკანტური ადგილია საკონსტიტუციო სასამართლოში, საარჩევნო ბიულეტენზე კანდიდატების მიმდევრობა განისაზღვრება ლოტების მიხედვით. თუ არცერთი კანდიდატი არ მიიღებს ხმების საკმარის რაოდენობას ან არასაკმარისი მოსამართლეების შერჩევა მოხდება, ხმის მიცემის პროცედურა გაიმართება ხელახლა იმ კანდიდატებს შორის, რომლებიც მიიღებენ ხმების უმრავლესობას. თუ განმეორებითი არჩევნების შემდგომაც მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობა იქნება არჩეული, ჩატარდება ახალი არჩევნები ახალ კანდიდატებს შორის. კანდიდატებს შესაძლებლობა აქვთ, უარი თქვან საკუთარ კანდიდატურაზე ხმის მიცემის დაწყებამდე.[14]

საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია

სლოვენიის კონსტიტუციის მიხედვით საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს:

- კანონის და კანონქვემდებარე აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს;
- კანონისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისობას რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპებთან;
- კანონქვემდებარე აქტების შესაბამისობას კანონებთან;
- საჯარო ფუნქციების განხორციელების მიზნით გამოცემული აქტების შესაბამისობას კონსტიტუციასთან, კანონებსა და საკანონმდებლო რეგულაციებთან;
- საკონსტიტუციო სარჩელებს ინდივიდუალური აქტებით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევის საკითხს;
- დავას იურისდიქციის თაობაზე ადგილობრივ ორგანოებსა და ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის;

[12] სლოვენიის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ აქტი, მუხლი 13.
[13] იქვე, მუხლი 14.
[14] იქვე, მუხლი 14.

- დავას იურისდიქციის თაობაზე სასამართლოებსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებს შორის;
- დავას იურისდიქციის თაობაზე პარლამენტს, რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მთავრობას შორის;
- პოლიტიკური პარტიების და მათი საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხს;
- რესპუბლიკის პრეზიდენტის, მთავრობის პრეზიდენტისა და მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხს;
- საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს ხელშეკრულების რატიფიცირების პროცესში.[15]

კანონის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება:

- პარლამენტის გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ევროპარლამენტში სლოვენიის წევრების არჩევას;
- ეროვნული საბჭოს[16] გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება საბჭოში კანდიდატის არჩევის საკითხის დადასტურებას;
- პარლამენტის გადაწყვეტილების დასაშვებობაზე, რომ არ ჩატარდეს რეფერენდუმი საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით;
- პარლამენტის მიმართვის საფუძველზე – კანონის იმპლემენტაციის შეჩერების ან მიუღებლობის შესაძლო შედეგების არაკონსტიტუციურობის თაობაზე;
- მუნიციპალური საბჭოს მიმართვის საფუძველზე – რეფერენდუმის ჩატარების კონსტიტუციურობის და კანონიერების თაობაზე;
- პარლამენტის მიერ საბჭოს დათხოვნის ან მერის გათავისუფლების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით.[17]

იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება კანონის არაკონსტიტუციურობის შესახებ, ხდება კანონის მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმება. გაუქმება შეიძლება მოხდეს დაუყოვნებლივ ან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, რაც არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს. საკანონმდებლო რეგულაციებისა და საჯარო ფუნქციების განხორციელების მიზნით გამოცემული აქტების კანონთან შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო აუქმებს ან ბათილად ცნობს მათ.[18]

---

[15] სლოვენიის კონსტიტუცია, მუხლი 160, იხილეთ, ასევე, სლოვენიის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, იურისდიქცია.

[16] სლოვენიის ეროვნული საბჭო წარმოადგენს სოციალურ, ეკონომიკურ, დასაქმებისა და ადგილობრივ ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენელ ორგანოს. ეროვნული საბჭოს შესახებ კანონი, მუხლი 1.

[17] სლოვენიის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, იურისდიქცია.

[18] სლოვენიის კონსტიტუცია, მუხლი 161.

იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო კანონქვემდებარე აქტებს ცნობს არაკონსტიტუციურად ან უკანონოდ საფუძვლით, რომ ის არ არეგულირებს იმ საკითხს, რასაც უნდა არეგულირებდეს, ან არეგულირებს იმგვარად, რომ შეუძლებელია საკანონმდებლო რეგულაციის გაუქმება ან ბათილად ცნობა, საკონსტიტუციო სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ის განმარტავს სამართლებრივი პრობლემის დარეგულირების მექანიზმებს. ამასთან, კანონმდებელი ან ორგანო, რომელმაც გამოსცა აღნიშნული რეგულაცია, ვალდებულია, გამოასწოროს არაკონსტიტუციურობა და უკანონობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლოა, შეაჩეროს რეგულაციის აღსრულება; ასევე, შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება სასამართლოს გადაწყვეტილების იმპლემენტაციის შესახებ.[19]

საკონსტიტუციო სასამართლოს დატვირთულობა

ზოგადი წესის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საქმეებს მათი სასამართლოში შემოსვლის რიგითობის მიხედვით. თუმცა პრიორიტეტი ენიჭება:

- საქმეებს, რომლებზეც სასამართლომ სწრაფად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ აქტის საფუძველზე;
- საქმეებს, რომლებშიც სასამართლომ შეაჩერა საქმისწარმოება და მოითხოვა კანონის კონსტიტუციურობის დადგენა;
- საქმეებს, რომლებზეც საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კანონით დადგენილია საქმის განხილვის ვადები;
- იურისდიქციასთან დაკავშირებული დავები.[20]

პრიორიტეტი შეიძლება მიენიჭოს:

- ერთგვაროვან საქმეებს, რომლებზეც გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილ იქნეს საქმის განხილვისას ან მოსამზადებელი პროცედურისას;
- საქმეებს, რომლებიც ეხება განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებს;
- სხვა საქმეს, თუ საკონსტიტუციო სასამართლო ასე გადაწყვეტს.[21]

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი წესები წარმოადგენს ზოგად წესს, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლოა, მიიღოს სხვაგვარი გადაწყვეტილება პრიორიტეტულობასთან დაკავშირებით კონკრეტული საქმის არსებითი გარემოებების გათვალისწინებით.[22]

---

[19] სლოვენიის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, იურისდიქცია.
[20] საკონსტიტუციო სასამართლოს პროცედურული წესები, მუხლი 46.
[21] იქვე.
[22] საკონსტიტუციო სასამართლოს პროცედურული წესები, მუხლი 46.

წლები[23]	შემოსული საქმეები	გადაწყვეტილებები
2013	1509	1553
2012	1731	1865
2011	1869	1806
2010	1880	1818
2009	1845	1772

ალბანეთი[24]

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა და არჩევის წესი

ალბანეთის საკონსტიტუციო სასამართლო **შედგება 9 მოსამართლისგან**, რომლებიც **ინიშნებიან** 9 წლის ვადით ალბანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ პარლამენტის თანხმობის საფუძველზე. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები არ სარგებლობენ განმეორებით არჩევის უფლებით. გამონაკლისს წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც **ინიშნება** საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა ჯგუფიდან 3 წლის ვადით პრეზიდენტის მიერ პარლამენტის თანხმობის საფუძველზე, მაგრამ სარგებლობს განმეორებითი არჩევის უფლებით სამოსამართლო ვადის ამოწურვამდე.[25]

ალბანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები აირჩევიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე იურისტებისგან, რომელთაც აქვთ პროფესიით მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება. მათი შემადგენლობის 1/3-ის განახლება ხდება ყოველ 3 წელიწადში ერთხელ იმავე პროცედურის თანახმად.[26]

საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია

საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, გადაწყვიტოს:

---

[23] სლოვენიის საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის ანგარიში გვ. 75-85.

[24] მოსახლეობის რაოდენობა – 2 312 356.

[25] ალბანეთის კონსტიტუცია, თავი 8, საკონსტიტუციო სასამართლო მუხლი 125, იხილეთ, ასევე, ალბანეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაციისა და ფუნქციონირების შესახებ კანონი №8577 მუხლი 7; ალბანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, მოსამართლეთა შემადგენლობა.

[26] იქვე.

- კანონის შესაბამისობა კონსტიტუციასთან ან საერთაშორისო ხელშეკრულებასთან;
- საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისობა კონსტიტუციასთან მათ რატიფიცირებამდე;
- ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების ნორმატიული აქტების შესაბამისობა კონსტიტუციასთან ან საერთაშორისო ხელშეკრულებასთან;
- დავა ცენტრალურ და ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე;
- მოქალაქეთა პოლიტიკური პარტიების, სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების და მათი საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხი;
- ალბანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის გათავისუფლებისა და მის მიერ საქმიანობის გაგრძელების შეუძლებლობის დადასტურების საკითხი[27];
- პრეზიდენტისა და პარლამენტის წევრების არჩევისა და ფუნქციების კონსტიტუციურობის საკითხები;
- რეფერენდუმის ჩატარებისა და მისი შედეგების კონსტიტუციურობა;
- პირის კონსტიტუციური უფლებების დარღვევის საკითხი ყველა სხვა სამართლებრივი დაცვის გარანტიების ამოწურვის შემდეგ.[28]

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არის საბოლოო და შესასრულებლად სავალდებულო. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის გადაწყვეტილების ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების დღიდან ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი თარიღიდან. ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილებას თან უნდა ერთვოდეს განსხვავებული აზრი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.[29]

---

[27] ალბანეთის პარლამენტი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პრეზიდენტის გათავისუფლების თაობაზე, შუამდგომლობით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც დეკლარირებას უკეთებს აღნიშნულ გათავისუფლებას. პარლამენტის გადაწყვეტილებას თან უნდა ერთვოდეს კონსტიტუციის სერიოზულ დარღვევასთან ან სერიოზული დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით ინფორმაცია მტკიცებულებებთან ერთად. იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტს, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტის მხრიდან ადგილი ჰქონდა კონსტიტუციის სერიოზულ დარღვევას ან სერიოზული დანაშაულის ჩადენას, დეკლარირებას უკეთებს პრეზდენტის გათავისუფლების გადაწყვეტილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქმებს პარლამენტის გადაწყვეტილებას. იხილეთ, ასევე, ალბანეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაციისა და ფუნქციონირების შესახებ კანონი №8577 მუხლი 60, 63.

[28] ალბანეთის კონსტიტუცია, თავი 8, საკონსტიტუციო სასამართლო მუხლი 131.

[29] ალბანეთის კონსტიტუცია, თავი 8, საკონსტიტუციო სასამართლო მუხლი 132, იხილეთ, ასევე, ალბანეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაციისა და ფუნქციონირების შესახებ კანონი №8577 მუხლი 26.

საკონსტიტუციო სასამართლოს დატვირთულობა

წლები[30]	შემოსული საქმეები	გადაწყვეტილებები
2013	204	53
2012	206	15
2011	208	50
2010	143	38
2009	138	32

გერმანია[31]

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა და არჩევის წესი

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აერთიანებს ორ სენატს. თითოეული სენატი შედგება 8 მოსამართლისაგან. სულ საკონსტიტუციო სასამართლო აერთიანებს **16 მოსამართლეს**.[32]

16 მოსამართლიდან ნახევარს ირჩევს გერმანიის პარლამენტი *(ბუნდესტაგი)*, მეორე ნახევარს – ფედერალური საბჭო *(ბუნდესრატი)*. ორივე სენატში სამ-სამი მოსამართლე უნდა აირჩეს იმ მოსამართლეთაგან, რომელთაც აქვთ ფედერალურ უზენაეს სასამართლოში მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება.[33] საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ პირი აირჩევა 40 წლის ასაკიდან და იგი უნდა აკმაყოფილებდეს მოსამართლეთა შესახებ კანონით განსაზღვრულ ზოგად მოთხოვნებს: უმაღლესი იურიდიული განათლება; მოსამართლედ, პროკურორად, ადვოკატად ან ადმინისტრაციულ ორგანოში მუშაობის, სულ მცირე, 2-წლიანი მოსამზადებელი სამუშაო გამოცდილება.[34] საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობა შეუთავსებელია გერმანიის პარლამენტის, ფედერალური საბჭოს ან მთავრობის წევრობასთან.[35]

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე აირჩევა 12-წლიანი ვადით, ასაკობრივი ზედა ზღვარი არის 68 წელი. განმეორებითი არჩევა დაუშვებულია.[36]

იუსტიციის სამინისტრო ადგენს იმ მოსამართლეთა სიას, რომლებიც აკმაყოფილებენ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ასევე, იმ

[30] ალბანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, სტატისტიკა.
[31] გერმანიის მოსახლეობა შეადგენს 80,8 მილიონს.
[32] გერმანიის კანონი ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, მუხლი 2.
[33] იქვე.
[34] გერმანიის კანონი მოსამართლეთა შესახებ, მუხლები 5, 5ა, 5ბ.
[35] გერმანიის კანონი ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, მუხლი 3.
[36] იქვე, მუხლი 4.

პირთა სიას, რომლებიც აკმაყოფილებენ მოთხოვნებს და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად წარდგენილნი არიან პარლამენტის რომელიმე ფრაქციის, მთავრობის ან კონკრეტული ფედერაციის სუბიექტის მთავრობის მიერ.[37] ბუნდესტაგის მიერ მოსამართლეთა არჩევა ხდება არაპირდაპირი წესით – ჯერ ხდება ბუნდესტაგის იმ 12 წევრის არჩევა, რომლებმაც შემდგომში მოსამართლეები უნდა აირჩიონ. ამ 12-კაციან შემადგენლობაში თითოეულ ფრაქციას ერთი წევრის წარდგენის უფლება აქვს. რაც შეეხება მოსამართლეებს, იმისთვის, რომ კანდიდატი არჩეულად ჩაითვალოს, მან უნდა მიიღოს 12-დან არანაკლებ 8 ხმისა.[38] ბუნდესრატი მოსამართლეებს ირჩევს პირდაპირი წესით, კანდიდატმა უნდა მიიღოს, სულ მცირე, ხმათა 2/3.[39]

თითოეულ სენატში იქმნება პალატები. პალატა სამკაციანი შემადგენლობით განიხილავს საქმეებს. რაც შეეხება პლენუმს, იგი აერთიანებს თექვსმეტივე მოსამართლეს.[40]

საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია

საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია მოიცავს სამ ძირითად საკითხს:

- კონსტიტუციური უფლების დარღვევა;
- ნორმების კონსტიტუციურობის კონტროლი;
- დავა კომპეტენციის გამიჯვნასთან დაკავშირებით.[41]

საკონსტიტუციო სასამართლო საქმეებს განიხილავს მხოლოდ მისთვის მიმართვის შემთხვევაში. საკუთარი ინიციატივით საქმის განხილვა არ ხდება.[42]

კონსტიტუციური უფლების დარღვევა – საკონსტიტუციო სარჩელის საფუძველზე საქმის განხილვისას საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს მხარე, რომელიც თვლის, რომ მისი კონსტიტუციური უფლება დაირღვა. უფლების შელახვა შეიძლება მომდინარეობდეს არა მხოლოდ **კონკრეტული კანონის ნორმიდან**, არამედ **სასამართლო გადაწყვეტილებიდან** ან **ადმინისტრაციული ორგანოს რაიმე ქმედებიდან.**[43] შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს ზედამხედველობის სფეროში ექცევა არა მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისობა კონსტიტუციასთან, არამედ სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისობაც კონსტიტუციასთან ადამიანის ძირითად უფლებებთან კვეთის ნაწილში, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედებების კონსტიტუციურობაც. სასამართლო გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვისას საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს მხოლოდ იმას, რამდენად დაცულია კონკრეტული

[37] იქვე, მუხლი 8.
[38] იქვე, მუხლი 6.
[39] იქვე, მუხლი 7.
[40] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი, სასამართლოს ორგანიზაცია.
[41] იქვე, პროცედურა.
[42] იქვე, პროცედურა.
[43] იქვე, სასამართლოს ორგანიზაცია.

უფლება. ის არ ახორციელებს ფაქტების და საქმეში არსებული სამართლებრივი პრობლემის შეფასებას.[44]

ნორმების კონსტიტუციურობის კონტროლი – მოიცავს კონკრეტულ ნორმათკონტროლსა და აბსტრაქტულ ნორმათკონტროლს. პირველი გულისხმობს საკონსტიტუციო წარდგინების საფუძველზე საქმის განხილვას, მეორე კი შემთხვევას, როდესაც ფედერაციული, ადგილობრივი მთავრობა ან პარლამენტის წევრთა ¼ მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით.[45]

დავა კომპეტენციის გამიჯვნასთან დაკავშირებით – დავები ფედერალური მთავრობის სუბიექტებსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის, მაგალითად, კომპეტენციის გამიჯვნის თაობაზე, ასევე, არჩევნებთან, პარტიათა უფლებებთან დაკავშირებულ დავებს.[46]

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო საქმეს განიხილავს მხოლოდ მისთვის მიმართვის შემთხვევაში. მიმართვის ფორმა ერთ შემთხვევაში არის **საკონსტიტუციო სარჩელი**, რომლითაც მოსარჩელე თვლის, რომ მისი უფლება დარღვეულია არაკონსტიტუციური კანონით, სასამართლო გადაწყვეტილებით ან ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიებით. კანონების კონსტიტუციურობას სასამართლო, ასევე, ამოწმებს **კონკრეტული და აბსტრაქტული** ნორმათკონტროლის მეშვეობით. **კონკრეტული ნორმათკონტროლის** დროს საერთო სასამართლოში საქმის განხილვისას, თუკი მოსამართლე ჩათვლის, რომ გამოსაყენებელი ნორმა წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციასთან, შეაჩერებს საქმის წარმოებას და წარდგინებით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმის კონსტიტუციურობის შესამოწმებლად. რაც შეეხება აბსტრაქტულ ნორმათკონტროლს, იგი მიბმული არ არის კონკრეტული საქმის განხილვასთან, ამ შემთხვევაში ნორმის ან კანონის კონსტიტუციურობის შესამოწმებლად საკონსტიტუციო სასამართლოს წარდგინებით მიმართავს მთავრობა ან პარლამენტის წევრთა 1/4 .

საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს:

- სარჩელები კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევის თაობაზე;
- კანონმდებლობის შესაბამისობა კონსტიტუციასთან;
- პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციის კონსტიტუციურობა;
- სარჩელები პარლამენტის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც პარლამენტის წევრის უფლებას, მის შეძენას ან დაკარგვას შეეხება;
- საპარლამენტო არჩევნებში პარტიის მონაწილეობის უფლებასთან დაკავშირებული დავა;

[44] იქვე, საკონსტიტუციო სარჩელი.
[45] იქვე, კანონის კონსტიტუციასთან შეუსაბამობა.
[46] იქვე, საკონსტიტუციო დავები.

- პარლამენტის ან ფედერალური საბჭოს მიმართვა ფედერაციის პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის ან კანონის დარღვევის ფაქტის დასადგენად;
- კონსტიტუციის ინტერპრეტაციის საფუძველზე, უმაღლესი ფედერალური ორგანოების უფლებებსა და მოვალეობებთან დაკავშირებული დავები;
- ფედერაციისა და მიწის კანონმდებლობის ფორმალური და შინაარსობრივი თავსებადობის შესახებ დავა;
- ფედერალური მთავრობის მიერ ზედამხედველობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული დავა;
- პარლამენტის მიმართვა კონკრეტული მოსამართლისათვის კონსტიტუციის დარღვევის გამო უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნით სასამართლოს მიმართვის საფუძველზე საერთაშორისო კანონმდებლობის უშუალოდ მოქმედების თაობაზე;
- მიწის ფედერალური სასამართლოს მიერ კონსტიტუციის განსხვავებული ინტერპრეტაციის შემთხვევაში, რაც ეწინააღმდეგება ფედერალური ან სხვა მიწის საკონსტიტუციო სასამართლოს ინტერპრეტაციას.[47]
- მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილი სარჩელი, მისი, როგორც თვითმმართველი ორგანოს, უფლებების დარღვევის შესახებ;
- ორ სხვადასხვა ფედერაციის სუბიექტს შორის დავა უფლებამოსილების გამიჯვნის თაობაზე.[48]

საკონსტიტუციო სასამართლოს დატვირთულობა

წლები[49]	შემოსული საქმეები	გადაწყვეტილებები
2013	6 686	655
2012	5 947	580
2011	6 208	638
2010	6422	579
2009	6508	589

დავების აბსოლუტური უმრავლესობა მოდის პირთა მიერ წარდგენილ კონსტიტუციურ სარჩელებზე, მაგ., 2013 წელს სასამართლოში შესულ საქმეთაგან 5000-ზე მეტი იყო კონსტიტუციური სარჩელი. რაც შეეხება პირდაპირ და აბსტრაქტულ ნორმათკონტროლს, რომელიც ხორციელდება არა საკონსტიტუციო სარჩელის, არამედ სასამართლოს ან მთავრობის წარდგინების საფუძველზე, გაცილებით ცოტაა.

[47] გერმანიის კანონი ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, მუხლი 13.
[48] გერმანიის კონსტიტუცია, მუხლი 93.
[49] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი, წლიური ანგარიშები.

განხილული საქმეების რიცხვი შემოსული განაცხადების ოდენობაზე გაცილებით ნაკლებია, მაგალითად: 2013 წელს პირველმა სენატმა, დასაბუთების გარეშე, დაუშვებლად ცნო შემოსული საქმეების 63%, ხოლო მეორე სენატმა – 94%.[50] დაშვებული საქმეებიდან დაკმაყოფილებული სარჩელების პროცენტული მაჩვენებელია 1.46%.[51]

2012 წელს პირველმა სენატმა დაუშვებლად ცნო შემოსული საქმეების 52%, მეორე სენატმა – 91%,[52] დაშვებული საქმეებიდან დაკმაყოფილებული სარჩელების პროცენტული მაჩვენებელია 2.78%.[53]

2011 წელს პირველმა სენატმა დაუშვებლად ცნო შემოსული საქმეების 49%, ხოლო მეორე სენატმა – 89%.[54] დაშვებული საქმეებიდან წარმატებული სარჩელების პროცენტული მაჩვენებელია 1.62%.[55]

ავსტრია[56]

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა და არჩევის წესი

ავსტრიის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო შედგება პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის, 12 წევრისა და 6 დამატებითი წევრისაგან.[57] საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრს, პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და დამატებითი წევრების ჩათვლით ნიშნავს ფედერაციის პრეზიდენტი ფედერაციის მთავრობის, პარლამენტის და ფედერალური საბჭოს (პარლამენტის მეორე პალატა) წარდგინებით. მთავრობა პრეზიდენტს წარუდგენს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის, 6 წევრისა და სამი დამატებითი წევრის კანდიდატურას. პარლამენტი წარუდგენს სამი წევრისა და ორი დამატებითი წევრის კანდიდატურას, ხოლო პარლამენტის მეორე პალატა – სამი წევრისა და ერთი დამატებითი წევრის კანდიდატურას. ყველა წევრი უნდა იყოს იურისტი, სულ მცირე, 10-წლიანი სამუშაო გამოცდილებით. პარლამენტის მიერ წარდგენილი კანდიდატები შესაძლოა, არ იყვნენ მოსამართლეები, ისინი შეიძლება იყვნენ ადვოკატები, ნოტარიუსები და ა.შ., მაშინ, როდესაც მთავრობის მიერ წარდგენილი კანდიდატები შეიძლება იყვნენ მოსამართლეები ან პროფესორები სამართლის დარგში.[58]

საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია

[50] იქვე, გადაწყვეტილებები 2013.
[51] იქვე, დაკმაყოფილებული სარჩელები.
[52] იქვე, გადაწყვეტილებები 2012.
[53] იქვე, დაკმაყოფილებული სარჩელები.
[54] იქვე, გადაწყვეტილებები 2011.
[55] იქვე, დაკმაყოფილებული სარჩელები.
[56] ავსტრიის მოსახლეობა შეადგენს 8,5 მილიონს.
[57] ავსტრიის კონსტიტუცია, მუხლი 147 (3).
[58] ავსტრიის კონსტიტუცია, მუხლი 147 (2).

საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, შეამოწმოს:

- ადმინისტრაციული სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობა;
- კანონების შესაბამისობა კონსტიტუციასთან;
- ადმინისტრაციული ორგანოების აქტების კანონშესაბამისობა;
- საერთაშორისო ხელშეკრულებების კანონიერება;
- რეფერენდუმთან, პლებისციტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, ასევე, ევროპის მოქალაქეთა ინიციატივებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რაც გულისხმობს ლისაბონის ხელშეკრულებით განსაზღვრული უშუალო დემოკრატიის ერთ-ერთ ფორმას, როდესაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები ერთობლივი ინიციატივის ფორმით მიმართავენ ევროკომისიას;
- ავსტრიის ფედერაციის პარლამენტის წევრის, ევროპის პარლამენტში ავსტრიის წარმომადგენლის, ფედერაციის სუბიექტის შესაბამისი ორგანოს ან ქალაქის საბჭოს წევრის მანდატის დაკარგვის შესახებ საკითხები;
- კომპეტენციის გამიჯვნასთან დაკავშირებული დავები;
- საჩივრები სახელმწიფო ორგანოების წინააღმდეგ.[59]

სასამართლოს კომპეტენცია ფართოა, თუმცა, გამოიყოფა ყველაზე ხშირად განხილული საქმეების სამი კატეგორია: კანონთა კონსტიტუციურობა, ადმინისტრაციული აქტების კონსტიტუციურობა და ადმინისტრაციული სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის გადამოწმება. რაც შეეხება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, ამ გადაწყვეტილებების შემოწმების უფლებამოსილება საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს.[60]

ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების რევიზიას საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს იმ შემთხვევაში, როცა სადავოა კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევა ამ კონკრეტული გადაწყვეტილებით, ან როდესაც სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა ანტიკონსტიტუციურ კანონს. საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია, გააუქმოს ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება, უარი თქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე ან დააბრუნოს საქმე ადმინისტრაციულ სასამართლოში განსახილველად.[61]

ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს როგორც კონკრეტულ, ისე აბსტრაქტულ ნორმათკონტროლს. რაც გულისხმობს, ერთ შემთხვევაში, სასამართლოს, ხოლო მეორე შემთხვევაში, მთავრობის მიმართვის საფუძველზე ნორმის ან კანონის კონსტიტუციურობის გადამოწმებას. ანტიკონსტიტუციურად გამოცხადებული ნორმა უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელსაც შეუძლია, დააწესოს ვადა, რომლის

[59] ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი, იურისდიქცია.
[60] იქვე.
[61] იქვე.

განმავლობაშიც უნდა მოხდეს ნორმის შესწორება და კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა; ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლო ადგენს, რომ კონკრეტული ნორმა „აღარ გამოიყენონ“, რაც ართმევს ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოებს უფლებას, დაეყრდნონ ამგვარ ნორმას.[62]

საკონსტიტუციო სასამართლოს დატვირთულობა

2013 წელს საკონსტიტუციო სასამართლოში შესული 4158 საქმიდან სასამართლომ დასაშვებად ცნო მხოლოდ 340 საქმე, განხილულ საქმეთა უმეტესობა ეხებოდა ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილების კონტროლს.[63]

2012 წელს შესული 4643 საქმიდან სასამართლომ დასაშვებად ცნო 201 საქმე. ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებების კონტროლი აქაც პირველ ადგილზეა – 96 საქმე, შემდეგ მოდის უფლების დარღვევის საკითხი – 43 საქმე და ნორმათკონტროლი – 33 საქმე.[64]

2011 წელს 4400 საქმიდან სასამართლომ დასაშვებად ცნო 505 საქმე, აქედან 180 ეხებოდა ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილების რევიზიას, 168 კი –ადმინისტრაციული აქტების კანონშესაბამისობას.[65]

წლები	შემოსული საქმეების რაოდენობა	განხილული საქმეების რაოდენობა
2013	4158	340
2012	4643	201
2011	4400	505

ლიხტენშტაინი[66]

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა და არჩევის წესი

ლიხტენშტაინის საკონსტიტუციო სასამართლო, ფაქტობრივად, პირველი საკონსტიტუციო სასამართლოა ევროპაში, რომელიც ფართო მაკონტროლებელი უფლებამოსილებებს ფლობს.[67] ლიხტენშტაინის საკონსტიტუციო სასამართლო შედგება **5 მოსამართლისა და 5 დამატებითი მოსამართლისაგან**.[68] 5 მოსამართლე თავისი რიგებიდან ყოველწლიურად

[62] იქვე.
[63] ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი, სტატისტიკა.
[64] იქვე.
[65] იქვე.
[66] ლიხტენშტაინის მოსახლეობა შეადგენს 37.000-ს.
[67] ლიხტენშტაინის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი.
[68] საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ აქტი, მუხლი 1(3).

ირჩევს სასამართლოს პრეზიდენტსა და მის მოადგილეს.[69] პრეზიდენტი, მოადგილე, ერთი მოსამართლე და სამი დამატებითი მოსამართლე აუცილებლად უნდა იყვნენ ლიხტენშტაინის მოქალაქეები. სულ მცირე, სამ მოსამართლეს და სამ დამატებით მოსამართლეს უნდა ჰქონდეს იურისტის კვალიფიკაცია.[70] მოსამართლეები და დამატებითი მოსამართლეები აირჩევიან 5 წლის ვადით ლიხტენშტაინის პარლამენტის მიერ. სასამართლოს პრეზიდენტმა და მისმა მოადგილემ პარლამენტის მიერ არჩევის შემდეგ უნდა მიიღონ დადასტურება სახელმწიფოს მეთაურის მხრიდან.[71]

საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია

ლიხტენშტაინის საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს შემდეგ საქმეებს:

- სარჩელები კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევის თაობაზე;
- კანონების და საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის შემოწმება; ასევე, ადმინისტრაციული აქტების შესაბამისობის შემოწმება კონსტიტუციასთან, კანონმდებლობასა და საერთაშორისო ხელშეკრულებებთან;
- კომპეტენციის გამიჯვნის შესახებ დავები სასამართლოებს შორის, ასევე, მმართველობის ორგანოებს შორის;
- არჩევნებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის შემოწმება.
- მინისტრთა წინააღმდეგ ბრალდებასთან დაკავშირებული საქმეები.[72]

საკონსტიტუციო სასამართლოს დატვირთულობა

გამოქვეყნებული გადაწყვეტილებების ოდენობა წლების მიხედვით:

წლები[73]	გადაწყვეტილებები
2009	1
2008	47
2007	44

[69] იქვე, მუხლი. 3(2).
[70] იქვე, მუხლი 1(3).
[71] ლიხტენშტაინის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი, ფუნქციები.
[72] საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ აქტი, მუხლი 1(2).
[73] ლიხტენშტაინის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი, სტატისტიკა.

უნგრეთი[74]

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა და არჩევის წესი

უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლო **15 მოსამართლისგან** შედგება.[75] უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოში თითოეული მოსამართლე 12 წლის ვადით აირჩევა პარლამენტის წევრთა 2/3–ის მიერ. პარლამენტი საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტსაც ირჩევს, ასევე, წევრთა 2/3–ით.[76]

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატს პარლამენტს წარმდგენი კომიტეტი წარუდგენს.[77] თავის მხრივ, წარმდგენი კომიტეტი უნდა შედგებოდეს, სულ მცირე, ცხრა და, მაქსიმუმ, თხუთმეტი წევრისგან. წარმდგენი კომიტეტის წევრებს პარლამენტში არსებული ფრაქციები ირჩევენ. წარმდგენი კომიტეტის წევრად პარლამენტში წარმოდგენილი პარტიის წევრი შეიძლება აირჩეს. ამავე დროს, კომიტეტში თითოეული საპარლამენტო ფრაქციიდან, სულ მცირე, ერთი წევრი მაინც უნდა აირჩეს.[78] იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატები ხმათა საკმარის რაოდენობას ვერ შეაგროვებენ, წარმდგენმა კომიტეტმა პარლამენტს 15 დღეში ახალი კანდიდატი უნდა შესთავაზოს.[79] პარლამენტი ვალდებულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი წევრი მოქმედი წევრის უფლებამოსილების გასვლამდე 90 დღით ადრე მაინც აირჩიოს.[80]

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად შეიძლება აირჩეს ნასამართლობის არმქონე უნგრეთის ის მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება; შეუსრულდა 45 წელი და არის გამორჩეული ცოდნის მქონე თეორეტიკოსი იურისტი (უნივერსიტეტის პროფესორი ან უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორი), ან აქვს, სულ მცირე, 20-წლიანი პროფესიული გამოცდილება სამართლის სფეროში.[81]

საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია

უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციასთან კანონების შესაბამისობას როგორც *Ex ante*, ისე *Ex Post* განიხილავს. კერძოდ, უნგრეთის ძირითადი კანონი ადგენს, რომ

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს, განიხილოს:

---

[74] მოსახლეობა – 9,9 მილიონი.

[75] უნგრეთის კონსტიტუცია, მუხლი 24(8).

[76] იქვე.

[77] უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონი, მუხლი 7(1).

[78] იქვე.

[79] იქვე, მუხლი 8(2).

[80] იქვე, მუხლი 8(3).

[81] იქვე, მუხლი 6(1).

- მიღებული, თუმცა, ჯერ კიდევ ძალაში არშესული კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი;
- მოსამართლის მიმართვის საფუძველზე დაუყოვნებლივ ან 30 დღის ვადაში კონკრეტულ საქმეში გამოყენებული კანონის კონსტიტუციურობა;
- კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე კონკრეტულ საქმეში გამოყენებული წესის კონსტიტუციურობა;
- კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილების კონსტიტუციასთან შესაბამისობა;
- მთავრობის, პარლამენტის წევრთა ერთი მეოთხედის ან მთავარი პროკურორის მიმართვის საფუძველზე კანონის ან მისი ნებისმიერი ნაწილის კონსტიტუციურობა;
- კანონების საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობა.[82]

საკონსტიტუციო სასამართლოს დატვირთულობა[83]

წლები[84]	შემოსული საქმეები	მიმდინარე საქმეები	გადაწყვეტილებები
2013	264	272	367
2012	836	270	631

ლიტვა[85]

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა და არჩევის წესი

ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლო შედგება **9 წევრისგან, რომელთა არჩევაც ხდება 9 წლის ვადით.**[86] საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს ლიტვის სეიმი ირჩევს იმ კანდიდატებიდან, რომელთაგან სამს – პრეზიდენტი, სამს – სეიმის სპიკერი და სამს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ასახელებს.[87] საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ერთი მესამედის განახლება ხდება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. განახლებისას პრეზიდენტი, სეიმის სპიკერი და უზენაესი სასამართლო თითო კანდიდატს ასახელებენ.[88] სეიმი პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.[89]

---

[82] უნგრეთის კონსტიტუცია, მუხლი 24(2).

[83] უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს სტატისტიკა.

[84] პორტუგალიის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური მონაცემები. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე

[85] მოსახლეობა – 2,9 მილიონი.

[86] ლიტვის კონსტიტუცია, მუხლი 103.

[87] იქვე.

[88] ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონი, მუხლი 4.

[89] ლიტვის კონსტიტუცია, მუხლი 103.

ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატად შეიძლება დასახელდეს ლიტვის მოქალაქე, რომელიც მაღალი რეპუტაციის მქონეა, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და იურისტად მუშაობის არანაკლებ ათწლიანი გამოცდილება სამართლის სფეროში ან სამეცნიერო და განათლების სისტემაში.[90]

საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია

ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება პრეზიდენტს, მთავრობას, პარლამენტის წევრთა არანაკლებ 1/5-ს და სასამართლოებს აქვთ.[91]

ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლო:

- აფასებს და ადგენს, შეესაბამება თუ არა ლიტვის კანონმდებლობა და სეიმის, პრეზიდენტის და მთავრობის მიერ მიღებული სხვა სამართლებრივი აქტები ლიტვის კონსტიტუციას;[92]
- ამზადებს დასკვნებს იმასთან დაკავშირებით, ჰქონდა თუ არა ადგილი საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას პრეზიდენტის ან სეიმის წევრების არჩევნების დროს;
- აძლევს თუ არა ჯანმრთელობის მდგომარეობა პრეზიდენტს მუშაობის გაგრძელების საშუალებას;
- რამდენად შეესაბამება ლიტვის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები კონსტიტუციას;
- წინააღმდეგობაშია თუ არა კონსტიტუციასთან იმ სეიმის წევრების ან სახელმწიფო პირების კონკრეტული ქმედებები, რომელთა მიმართ დაწყებულია იმპიჩმენტის პროცედურა.[93]

საკონსტიტუციო სასამართლოს დატვირთულობა

წლები[94]	შემოსული საქმეები	დაუშვებლად ცნობილი საქმეები	განხილული საქმეები
2013	39	4	14
2012	30	3	28
2011	38	8	16

[90] იქვე.
[91] ლიტვის კონსტიტუცია, მუხლი 106.
[92] ლიტვის კონსტიტუცია, მუხლი 105.
[93] იქვე.
[94] ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლო - სტატისტიკა.

პორტუგალია[95]

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა და არჩევის წესი

პორტუგალიის საკონსტიტუციო სასამართლო **13 მოსამართლისგან შედგება**, რომელთაგან 10-ს პარლამენტი ირჩევს, ხოლო 3-ს – თავად არჩეული მოსამართლეები.[96]

პორტუგალიის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება გახდეს მხოლოდ პორტუგალიის უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე მოქალაქე.[97]

პორტუგალიის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატთა სიას პარლამენტი ადგენს. იმისათვის, რომ პირი კანდიდატი გახდეს, მას პარლამენტის, სულ მცირე, 25 წევრმა უნდა დაუჭიროს მხარი.[98] კანდიდატთა რაოდენობა არსებული ვაკანსიების რაოდენობას უნდა ემთხვეოდეს.[99] საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატთა საერთო სია პარლამენტის სპიკერს გადაეგზავნება იმ სხდომამდე 5 დღით ადრე, რომელზეც წევრთა არჩევა უნდა მოხდეს.[100] არჩეულად ის კანდიდატი ითვლება, ვინც პარლამენტის დამსწრეთა წევრების ხმების 2/3-ს მოიპოვებს, თუ დამსწრე წევრები პარლმენტის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ.[101]

პარლამენტის მიერ არჩეული წევრები დარჩენილ სამ წევრს მათი არჩევიდან 10 დღის ვადაში აირჩევენ.[102] ამ შემთხვევაში, კანდიდატმა, სულ მცირე, 7 ხმა მაინც უნდა დააგროვოს, რათა იგი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე გახდეს.[103] არჩევის შემთხვევაში, სხდომის ხელმძღვანელმა (რომელსაც ასაკით ყველაზე უფროსი მოსამართლე წარმოადგენს) აღნიშნულის შესახებ 5 დღეში კანდიდატს უნდა შეატყობინოს და მისგან თანხმობა მიიღოს.[104]

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები ფარული კენჭისყრით აირჩევენ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.[105]

---

[95] მოსახლეობა – 10,4 მილიონი.
[96] პორტუგალიის კონსტიტუცია, მუხლი 222(1).
[97] საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონი, მუხლი 13.
[98] იქვე, მუხლი 14(1).
[99] იქვე, მუხლი 14(2).
[100] იქვე, მუხლი 14(1).
[101] იქვე, მუხლი 16(4).
[102] იქვე, მუხლი 17(1).
[103] იქვე, მუხლი 19(4).
[104] იქვე, მუხლი 19(6).
[105] იქვე, მუხლი 37(1) და 38(1).

საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია

პორტუგალიის საკონსტიტუციო სასამართლო სამართლებრივ აქტებზე სამი სახის ზედამხედველობას ახორციელებს: კონსტიტუციურობის წინასწარ დადგენას, კონსტიტუციურობის და კანონიერების ზოგად შემოწმებას და კონსტიტუციურობის და კანონიერების კონკრეტულ შემოწმებას.

კონსტიტუციურობის წინასწარ დადგენასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს:

- პორტუგალიის პრეზიდენტის მიმართვის საფუძველზე იმ საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობა, რომელიც პრეზიდენტთან გადაგზავნილია რატიფიცირებისთვის და ასევე ნებისმიერი კანონი თუ დადგენილება, რომელიც პრეზიდენტისთვის ხელმოსაწერადაა გადაცემული;[106]
- პრემიერ–მინისტრის და პარლამენტის წევრთა ერთი მეხუთედის მიმართვით ნებისმიერი იმ ორგანული კანონის კონსტიტუციურობა, რომელიც პრეზიდენტს ხელმოწერისთვის უნდა გადაეგზავნოს.[107]
-

კონსტიტუციურობის და კანონიერების ზოგად შემოწმებისას პორტუგალიის საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია დაადგინოს:

- ნებისმიერი კანონის კონსტიტუციურობა;
- ნებისმიერი ნორმის კანონიერება ზემდგომ კანონთან მიმართებით;
- ადგილობრივი სამართლებრივი აქტის კანონიერება ავტონომიური რეგიონის კანონებთან მიმართებით.[108]
-

კონსტიტუციურობის და კანონიერების კონკრეტული შემოწმებისას დასაშვებია საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა იმ სასამართლო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომელშიც სასამართლომ:

- უარი განაცხადა კანონის გამოყენებაზე მისი არაკონსტიტუციურობის გამო;
- ის კანონი გამოიყენა, რომლის არაკონსტიტუციურობის საკითხი საქმის განხილვის დროს დადგა;
- უარი განაცხადა კანონის გამოყენებაზე იმ საფუძვლით, რომ იგი ზემდგომ კანონს არღვევდა;
- უარი განაცხადა ადგილობრივი სამართლებრივი აქტის გამოყენებაზე იმ საფუძვლით, რომ იგი ავტონომიური რეგიონის კანონს არღვევდა.[109]

---

[106] პორტუგალიის კონსტიტუცია, მუხლი 278(1)

[107] იქვე, მუხლი 278(4).

[108] იქვე, მუხლი 281(1).

[109] იქვე, მუხლი 280(1,2).

საკონსტიტუციო სასამართლოს დატვირთულობა

წლები[110]	შემოსული საქმეები	არსებითად განხილვის სტადიაზე	არსებითად განხილვის ეტაპზე არ მისულა	გადაწყვეტილება
2013	1393	583	88	1173

რუმინეთი[111]

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა და არჩევის წესი

რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლო შედგება **9 მოსამართლისგან**. მოსამართლეები ინიშნებიან 9-წლიანი ვადით, რომლის გაგრძელება ან განახლება არ არის შესაძლებელი.[112]

9 მოსამართლიდან 3 აირჩევა წარმომადგენელთა პალატის მიერ, 3-ს ირჩევს სენატი, 3-ს კი ნიშნავს რუმინეთის პრეზიდენტი.[113] სასამართლოს შემადგენლობის 1/3 უნდა განახლდეს სამ წელიწადში ერთხელ. შესაბამისად, ყოველ სამ წელიწადში იცვლება საკონსტიტუციო სასამართლოს სამი მოსამართლე – წარმომადგენელთა პალატა, სენატი და პრეზიდენტი ნიშნავს ერთ ახალ მოსამართლეს.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტი სამწლიანი ვადით აირჩევა მოსამართლეთა შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრის შედეგად.[114] საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება, მაღალი კვალიფიკაცია და, სულ მცირე, 18-წლიანი გამოცდილება სამართლის მიმართულებით.[115]

საკონსტიტუციო სასამართლო დაკისრებულ ფუნქციებს ახორციელებს პლენუმის ფარგლებში, რომლისთვისაც კვორუმი წევრთა 2/3-ია.[116] თითოეული მოსამართლე ვალდებულია, საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს დადებითი ან უარყოფითი ხმით; ხმის მიცემაზე თავის შეკავება დაუშვებელია. პლენუმის კომპეტენციაში შედის სასამართლოს

---

[110] პორტუგალიის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური მონაცემები. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.
[111] მოსახლეობა შეადგენს 22,334,312
[112] რუმინეთის კანონი N 47/1992 ორგანიზაციისა და მოქმედების შესახებ, მუხლი 5 (1).
[113] იქვე, მუხლი 5 (2).
[114] იქვე, მუხლი 7 (1).
[115] იქვე, მუხლი 61 (3).
[116] იქვე, მუხლი 50, 51.

ორგანიზაციასა და ფუნქციასთან დაკავშირებული წესების მიღება, ბიუჯეტის დამტკიცება, საერთაშორისო ურთიერთობების დაგეგმვა და სხვ.[117]

საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია

რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს:

- კანონის პრომულგაციამდე მის კონსტიტუციასთან შესაბამისობას;
- ხელშეკრულებათა და საერთაშორისო შეთანხმებათა თავსებადობას რუმინეთის კონსტიტუციასთან;
- კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობას;
- საჯარო უწყებებს შორის საკონსტიტუციო ხასიათის დავებს;
- უზრუნველყოფს რუმინეთის პრეზიდენტის არჩევნებზე პროცედურის დაცვას და ადასტურებს არჩევნების შედეგებს;
- ადასტურებს იმ პირობებს, რომლებიც ამართლებს რუმინეთის პრეზიდენტის ფუნქციების დროებით შესრულებას და ატყობინებს მოპოვებული ინფორმაციის შესახებ პარლამენტსა და მთავრობას;
- გასცემს რეკომენდაციას რუმინეთის პრეზიდენტის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ;
- ზედამხედველობას უწევს რეფერენდუმების ჩატარების პროცედურის დაცვას და ადასტურებს მის შედეგებს;[118]
- ამოწმებს მოქალაქეთა მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის პირობებს;
- იღებს გადაწყვეტილებებს პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით.[119]

რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციურობას და არ არის უფლებამოსილი, განიხილოს მასში ცვლილების ან დამატების შეტანა.

საკონსტიტუციო სასამართლოს დატვირთულობა

1992 წლიდან 2014 წლის 31 მაისამდე რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოცემული გადაწყვეტილებების, დადგენილებებისა და რეკომენდაციების საერთო რაოდენობაა 15209[120]

---

[117] იქვე, მუხლი 74 (2).

[118] რუმინეთის კანონი N47/1992 ორგანიზაციისა და მოქმედების შესახებ, მუხლი 46 (1) – საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, მოითხოვოს ინფორმაცია ნებისმიერი საჯარო დაწესებულებისგან, ასევე, ცენტრალური საარჩევნო კომისია ვალდებულია, წარუდგინოს ინფორმაცია რეფერენდუმის ჩატარების შესახებ.

[119] რუმინეთის კონსტიტუცია, მუხლები 142-147, რუმინეთის კანონი N47/1992 ორგანიზაციისა და მოქმედების შესახებ.

წლები	გადაწყვეტილებები
2012	1083
2011	1627
2010	1658
2009	1708
2008	1416

იტალია[121]

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა და არჩევის წესი

იტალიის საკონსტიტუციო სასამართლო შედგება **15 მოსამართლისგან.**[122] ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით 3 მოსამართლეს ირჩევს უზენაესი სასამართლო, ერთს – სახელმწიფო საბჭო და ერთს – აუდიტორთა სასამართლო. მოსამართლეთა მეორე ხუთეულს ირჩევს პარლამენტი ხმათა ორი მესამედით, მოსამართლეთა მესამე ხუთეულს კი ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი.[123]

იტალიის კანონმდებლობა არ აწესებს საკონსტიტუციო მოსამართლეთა ასაკობრივ ზღვარს, მაგრამ წარმატებული კანდიდატი უმაღლეს იურიდიულ განათლებასთან, მაღალ პროფესიონალიზმსადა უნარ-ჩვევებთან ერთად უნდა ფლობდეს 20-წლიან პროფესიულ გამოცდილებას უმაღლესი დონის სასამართლო მსახურად უზენაეს სასამართლოში, სახელმწიფო საბჭოში ან აუდიტორთა სასამართლოში.

საკონსტიტუციო მოსამართლეები ინიშნებიან 9 წლის ვადით, ვადის გაგრძელების შესაძლებლობის გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრ მოსამართლეთაგან სასამართლო ფარული კენჭისყრით ხმათა სრული უმრავლესობით (8 ხმა) ირჩევს პრეზიდენტს 3 წლის ვადით, ხელახალი არჩევის შესაძლებლობით, თუმცა, მისი მოსამართლედ ყოფნის ვადის განმავლობაში. იტალიის კანონმდებლობის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტი ნიშნავს ერთ ან ორ ვიცეპრეზიდენტს, რომლებიც მისი არყოფნის შემთხვევაში ასრულებენ მის მოვალეობებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია

საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს:[124]

---

[120] სასამართლო სტატისტიკა

[121] მოსახლეობა – 47.27 მილიონი.

[122] იტალიის საკონსტიტუციო სასამართლო - მიმოხილვა გვ.14.

[123] იტალიის კონსტიტუცია, მუხლი 135; იტალიის საკონსტიტუციო სასამართლო – მიმოხილვა გვ.23.

[124] იტალიის კონსტიტუცია მუხლი 134.

- სახელმწიფო უწყებებისა და ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოცემული კანონებისა და კანონის ძალის მქონე აქტების კონსტიტუციურობის საკითხი;
- სახელმწიფო უწყებებსა და ადგილობრივ ორგანოებს შორის უფლებამოსილებების გადანაწილებაზე წარმოშობილი დავა.

საკონსტიტუციო სასამართლოს დატვირთულობა

იტალიის საკონსტიტუციო სასამართლო საქმეებს განიხილავს საჯარო განხილვებისა და დახურული სხდომების გზით საკონსტიტუციო სასამართლოს 15 მოსამართლის მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ არ ხდება მოსამართლეების დაყოფა კოლეგიების მიხედვით, რაც, მათი განმარტებით, ხელს უწყობს პრეცედენტული სამართლის ერთგვაროვანი პრაქტიკის შექმნასა და შენარჩუნებას.[125]
საკონსტიტუციო სასამართლოს დატვირთულობიდან და განრიგიდან გამომდინარე საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტი თავად განსაზღვრავს, როდის რომელი საქმე განიხილოს სასამართლომ, ასევე, იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელ კონკრეტულ საქმეზე რომელი მოსამართლე იქნება მომხსენებელი.

წლები[126]	გადაწყვეტილებები
2013	326
2012	316
2011	342
2010	376
2009	342

ესპანეთი[127]

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა და არჩევის წესი

ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლო **შედგება 12 მოსამართლისგან**. ესპანეთის მეფე ნიშნავს მათ მას შემდეგ, რაც კონგრესი წარადგენს 4 მოსამართლის კანდიდატურას, 4 მოსამართლეს – სენატი, 2 მოსამართლეს – მთავრობა და 2-ს – სასამართლოს გენერალური საბჭო.[128]

[125] იტალიის საკონსტიტუციო სასამართლო - მიმოხილვა გვ.43.
[126] იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს სტატისტიკა ვებგვერდი.
[127] მოსახლეობა – 60.92 მილიონი.
[128] ესპანეთის კონსტიტუცია მუხლი 159(1).

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები **ინიშნებიან 9 წლის ვადით**. უმაღლეს იურიდიულ განათლებასა და კარგ რეპუტაციასთან ერთად წარმატებული კანდიდატი უნდა ფლობდეს, სულ მცირე, 15-წლიან პროფესიულ გამოცდილებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი კენჭისყრით ირჩევს სასამართლოს პრეზიდენტს, რომელსაც ესპანეთის მეფე ნიშნავს სამი წლის ვადით. საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტის ვადის გაგრძელება შესაძლებელია არაუმეტეს 3 წლისა.[129] იგივე პროცედურა ეხება ვიცეპრეზიდენტის არჩევას.[130]

საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია

საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს ისეთი საკითხები, როგორიცაა:

- კანონის, საკანონმდებლო აქტისა და ნებისმიერი კანონის ძალის მქონე აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობა;
- კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დარღვევის ფაქტებზე ინდივიდუალური სარჩელები;[131]
- ცენტრალურ ხელისუფლებასა და ავტონომიურ წარმონაქმნებს შორის დავა იურისდიქციის საკითხებზე;
- საკონსტიტუციო ორგანოებს შორის დავა;
- დავა ადგილობრივ თვითმმართველობას შორის;
- საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის საკითხი;
- ავტონომიური წარმონაქმნების მიერ მიღებული და რატიფიცირებული დებულებებისა და რეზოლუციებთან მიმართებით წარმოქმნილი სადავო საკითხები.[132]

სასამართლო 12 მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს კანონებისა და სხვადასხვა საკანონმდებლო აქტის კონსტიტუციურობის, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის საკითხებს.[133] სხვა საკითხებს, ისევე, როგორც სარჩელის დასაშვებობას, განიხილავს სასამართლოს ორი პალატა 6-6 მოსამართლის შემადგენლობით ან მათი 2 დანაყოფი 3-3 მოსამართლის შემადგენლობით.

---

[129] ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი მუხლი 9, იხილეთ, ასევე, ესპანეთის კონსტიტუცია მუხლი 160.

[130] ორგანული კანონი მუხლი 9(4).

[131] ესპანეთის კონსტიტუცია მუხლი 53(2).

[132] ესპანეთის კონსტიტუცია, მუხლი 161, იხილეთ, ასევე, ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი, მუხლი 2

[133] სასამართლო განხილვა ესპანეთში: საკონსტიტუციო სასამართლო, ლოიოლას ლოს ანჯელესის სამართლის მიმოხილვა,Vol. 41:529, 538, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე

საკონსტიტუციო სასამართლოს დატვირთულობა

წლები[134]	შემოსული საქმეები	დაუშვებლად ცნობილი და შეწყვეტილი საქმეები	გადაწყვეტილებები
2011	7 192	6 400	305
2010	9 041	9 991	239
2009	10 848	15 444	359
2008	10 410	12 458	437
2007	10 013	10 961	603

საფრანგეთი[135]

მოსამართლეთა რაოდენობა და არჩევის წესი

საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭო **9 წევრისგან** შედგება, ხოლო მათი არჩევა 9 წლით ხდება.[136] საკონსტიტუციო საბჭოს 9 წევრის გარდა, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტები საკონსტიტუციო საბჭოს *ex officio* წევრები არიან სიცოცხლის განმავლობაში.[137]

საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს 3 წევრს პრეზიდენტი ნიშნავს, 3-ს – ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარე და 3-ს – სენატის თავმჯდომარე. საფრანგეთის პრეზიდენტი, ასევე, საკონსტიტუციო საბჭოს პრეზიდენტს ნიშნავს იმ მოსამართლეთაგან, რომლებიც საკონსტიტუციო საბჭოს წევრებს წარმოადგენენ (მათ შორის, *ex officio* წევრებს). ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ხდება საკონსტიტუციო საბჭოს წევრთა მესამედის განახლება.[138] საფრანგეთის პრეზიდენტი ვერ დანიშნავს საკონსტიტუციო საბჭოს წევრებს, თუ მის მიერ დასახელებული პირების წინააღმდეგ ეროვნულ ასამბლეასა და სენატში ამ საკითხზე შექმნილი კომიტეტების წევრთა ის რაოდენობა მისცემს ხმას, რომლებიც ჯამში ორივე კომიტეტის წევრთა რაოდენობის 3/5-ს შეადგენს.[139]

---

[134] ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი იხ. ცხრილი №16.

[135] მოსახლეობა 65,9 მილიონი ადამიანი.

[136] საფრანგეთის კონსტიტუცია, მუხლი 56.

[137] იქვე.

[138] იქვე.

[139] იქვე, მუხლები 56 და 13.

საფრანგეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ასაკობრივ ზღვართან ან პროფესიულ კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს წევრობისთვის.[140]

საკონსტიტუციო საბჭოს ახალი წევრის დანიშვნა არსებული წევრის უფლებამოსილების ამოწურვამდე რვა დღით ადრე მაინც უნდა მოხდეს.[141]

საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია

საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭო უფლებამოსილია:

- განიხილოს საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრები და დაამტკიცოს არჩევნების შედეგები;
- განიხილოს ეროვნულ ასამბლეასა და სენატში არჩევასთან დაკავშირებულ სადავო საკითხები;
- განიხილოს რეფერენდუმთან დაკავშირებული დავები;
- სახელმწიფო საბჭოს ან საკასაციო სასამართლოს წარდგინებით კონკრეტულ საქმეზე გამოსაყენებელი ის კანონები, რომლებიც შესაძლოა, კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდეს.[142]

ამასთან, საკონსტიტუციო საბჭოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის დასადგენად უნდა გადაეცეს ორგანული კანონი, მის გამოქვეყნებამდე, რეფერენდუმზე დასაყენებელი საკითხები და პარლამენტის მოქმედებასთან დაკავშირებული წესები, ძალაში შესვლამდე.[143] საკონსტიტუციო საბჭოს, ასევე, შეიძლება გადაეცეს პარლამენტის სამართლებრივი აქტები მათ გამოქვეყნებამდე პრეზიდენტის, პრემიერ–მინისტრის, ეროვნული ასამბლეის ან სენატის თავმჯდომარეების, ეროვნული ასამბლეის ან სენატის 60 წევრის წარდგინებით.[144]

საკონსტიტუციო სასამართლოს დატვირთულობა

წლები[145]	გადაწყვეტილებები
2013	357
2012	203

[140] Service des Affaires Internationales et de Defense, The National Assembly in the French Institutions (2011), 46.
ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.

[141] საკონსტიტუციო საბჭოს შესახებ ორგანული კანონი, მუხლი 8.

[142] საფრანგეთის კონსტიტუცია, მუხლები 58-60 და 61(1).

[143] იქვე, მუხლი 61.

[144] იქვე.

[145] საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს ოფიციალური მონაცემები.

2011	145
2010	102

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ განხილულ სახელმწიფოებში საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებას. მოსამართლეთა რაოდენობა მერყეობს, საშუალოდ, 9-დან 15 მოსამართლემდე. მოსამართლეთა არჩევისა და დანიშვნის წესი მსგავსია – კანდიდატების წარდგენისა და დანიშვნის/არჩევის ფუნქცია ქვეყნის მმართველ პირებსა და ორგანოებს ენიჭებათ. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის ძირითადი კრიტერიუმებია: ადგილსამყოფელი, სახელმწიფოს მოქალაქეობა, ასაკი, იურისტის კვალიფიკაცია და მოსამართლედ ან იურიდიულ სფეროში მუშაობის, სულ მცირე, 10-წლიანი გამოცდილება. რაც შეეხება საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებს, საკონსტიტუციო სასამართლოების იურისდიქცია, ძირითადად, მოიცავს კანონების, კანონქვემდებარე აქტებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის საკითხის დადგენას და სახელმწიფო ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის დავების განხილვას. კვლევაში განხილულ სახელმწიფოებში განსხავებულია, აგრეთვე, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ფორმა – სასამართლო, როგორც წესი, იხილავს ინდივიდუალურ სარჩელებს, ამასთან, ახდენს კონსტიტუციურობის და კანონიერების კონკრეტულ და აბსტრაქტულ შემოწმებას (მაგ., გერმანია, ავსტრია, პორტუგალია). განხილულ ქვეყნებში მოსამართლეთა დატვირთულობა განსხვავდება და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებზე, მოსამართლეთა რაოდენობაზე, სარჩელის დასაშვებობის კრიტერიუმებზე და სხვ.

დანართი

ქვეყანა	მოსამართლეთა არჩევის/დანიშვნის წესი	იურისდიქცია	რაოდენობა	მოსახლეობა	დატვირთულობის საშ. მაჩვენებელი	წელი
სლოვენია	მოსამართლეები ირჩევიან სლოვენიის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით პარლამენტის მიერ. პარლამენტი მოსამართლეებს ირჩევს ფარული კენჭისყრის საფუძველზე პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით.	საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს: – კანონის და კანონქვემდებარე აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს; – კანონისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისობას რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპებთან; – კანონქვემდებარე აქტების შესაბამისობას კანონებთან; – საჯარო ფუნქციების განხორციელების მიზნით გამოცემული აქტების შესაბამისობას კონსტიტუციასთან, კანონებსა და საკანონმდებლო რეგულაციებთან; – საკონსტიტუციო სარჩელებს ინდივიდუალური აქტებით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევის საკითხს; – დავას იურისდიქციის თაობაზე ადგილობრივ ორგანოებსა და ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის; – დავას იურისდიქციის თაობაზე სასამართლოებსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებს შორის; – დავას იურისდიქციის თაობაზე პარლამენტს, რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მთავრობას შორის; – პოლიტიკური პარტიების და მათი საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხს; – რესპუბლიკის პრეზიდენტის, მთავრობის პრეზიდენტისა და მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხს; – საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს ხელშეკრულების რატიფიცირების პროცესში.	9	2,06 მლნ	173 207 201 202 197	2013 2012 2011 2010 2009
ალბანეთი	მოსამართლეები ინიშნებიან ალბანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ პარლამენტის	სასამართლო უფლებამოსილია, გადაწყვიტოს: – კანონის შესაბამისობა კონსტიტუციასთან ან საერთაშორისო ხელშეკრულებასთან;	9	2,3 მლნ	6	2013

	თანხმობის საფუძველზე.	– საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისობა კონსტიტუციასთან მათ რატიფიცირებამდე; – ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების ნორმატიული აქტების შესაბამისობა კონსტიტუციასთან ან საერთაშორისო ხელშეკრულებასთან; – დავა ცენტრალურ და ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე; – მოქალაქეთა პოლიტიკური პარტიების, სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების და მათი საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხი; – ალბანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის გათავისუფლებისა და მის მიერ საქმიანობის გაგრძელების შეუძლებლობის დადასტურების საკითხი; – პრეზიდენტისა და პარლამენტის წევრების არჩევისა და ფუნქციების კონსტიტუციურობის საკითხები; – რეფერენდუმის ჩატარებისა და მისი შედეგების კონსტიტუციურობა; – პირის კონსტიტუციური უფლებების დარღვევის საკითხი, ყველა სხვა სამართლებრივი დაცვის გარანტიის ამოწურვის შემდეგ			2 6 4 4	2012 2011 2010 2009
გერმანია	8 მოსამართლეს ირჩევს გერმანიის პარლამენტი (ბუნდესტაგი), მეორე ნახევარს კი ფედერალური საბჭო (ბუნდესრატი). ბუნდესტაგის მიერ მოსამართლეთა არჩევა ხდება არაპირდაპირი წესით – ჯერ ხდება ბუნდესტაგის იმ 12 წევრის არჩევა, რომლებმაც შემდგომში მოსამართლეები უნდა აირჩიონ. ამ 12-კაციან შემადგენლობაში თითოეულ ფრაქციას ერთი წევრის წარდგენის უფლება აქვს. რაც შეეხება მოსამართლეებს, იმისთვის, რომ კანდიდატი	სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს: – სარჩელები კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევის თაობაზე; – კანონმდებლობის შესაბამისობა კონსტიტუციასთან; – პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციის კონსტიტუციურობა; – სარჩელები პარლამენტის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც პარლამენტის წევრის უფლებას, მის შეძენას ან დაკარგვას შეეხება; – საპარლამენტო არჩევნებში პარტიის მონაწილეობის უფლებასთან დაკავშირებული დავა; – პარლამენტის ან ფედერალური საბჭოს მიმართვა ფედერაციის პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის ან კანონის დარღვევის ფაქტის დასადგენად; – კონსტიტუციის ინტერპრეტაციის საფუძველზე,	16	80,8 მლნ	41 36 40	2013 2012 2011

	არჩეულად ჩაითვალოს, მან უნდა მიიღოს 12–დან არანაკლებ 8 ხმისა. ბუნდესრატი კი მოსამართლეებს ირჩევს პირდაპირი წესით, კანდიდატმა უნდა მიიღოს, სულ მცირე, ხმათა 2/3.	უმაღლესი ფედერალური ორგანოების უფლებებსა და მოვალეობებთან დაკავშირებული დავები; – ფედერაციისა და მიწის კანონმდებლობის ფორმალური და შინაარსობრივი თავსებადობის შესახებ დავა; – ფედერალური მთავრობის მიერ ზედამხედველობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული დავა; – პარლამენტის მიმართვა კონკრეტული მოსამართლისათვის კონსტიტუციის დარღვევის გამო, უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნით; სასამართლოს მიმართვის საფუძველზე, საერთაშორისო კანონმდებლობის უშუალოდ მოქმედების თაობაზე; – მიწის ფედერალური სასამართლოს მიერ კონსტიტუციის განსხვავებული ინტერპრეტაციის შემთხვევაში, რაც ეწინააღმდეგება ფედერალური ან სხვა მიწის საკონსტიტუციო სასამართლოს ინტერპრეტაციას. – მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილი სარჩელი, მისი, როგორც თვითმმართველი ორგანოს, უფლებების დარღვევის შესახებ; – ორ სხვადასხვა ფედერაციის სუბიექტს შორის დავა უფლებამოსილების გამიჯვნის თაობაზე.			36	2010
					37	2009
ავსტრია	ყველა წევრს, პრეზიდენტის, ვიცეპრეზიდენტის და დამატებითი წევრების ჩათვლით ნიშნავს ავსტრიის ფედერაციის პრეზიდენტი, ფედერაციის მთავრობის, პარლამენტის და ფედერალური საბჭოს (პარლამენტის მეორე პალატა) წარდგინებით. მთავრობა პრეზიდენტს წარუდგენს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტის, ვიცეპრეზიდენტის, 6 წევრისა და სამი დამატებითი წევრის კანდიდატურას. პარლამენტი წარუდგენს სამი წევრისა და ორი დამატებითი წევრის	სასამართლო უფლებამოსილია, შეამოწმოს: – ადმინისტრაციული სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობა; – კანონების შესაბამისობა კონსტიტუციასთან; – ადმინისტრაციული ორგანოების აქტების კანონშესაბამისობა; – საერთაშორისო ხელშეკრულებების კანონიერება; – რეფერენდუმთან, პლებისციტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, ასევე, ევროპის მოქალაქეთა ინიციატივებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რაც გულისხმობს ლისაბონის ხელშეკრულებით განსაზღვრულ უშუალო დემოკრატიის ერთ-ერთ ფორმას, როდესაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები ერთობლივი ინიციატივის ფორმით მიმართავენ ევროკომისიას; – ავსტრიის ფედერაციის პარლამენტის წევრის, ევროპის პარლამენტში ავსტრიის წარმომადგენლის,	20 (აქედან 6 დამატებითი)	80,5 მლნ	28	2013

	კანდიდატურას, ხოლო პარლამენტის მეორე პალატა – სამი წევრისა და ერთი დამატებითი წევრის კანდიდატურას.	ფედერაციის სუბიექტის შესაბამისი ორგანოს ან ქალაქის საბჭოს წევრის მანდატის დაკარგვის შესახებ საკითხები; – კომპეტენციის გამიჯვნასთან დაკავშირებული დავები; – საჩივრები სახელმწიფო ორგანოების წინააღმდეგ.			17	2012
					40	2011
ლიხტენშტაინი	მოსამართლეები აირჩევიან ლიხტენშტაინის პარლამენტის მიერ. მოსამართლეები თავიანთი რიგებიდან ყოველწლიურად ირჩევენ სასამართლოს პრეზიდენტსა და მის მოადგილეს.	საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს შემდეგ საქმეებს: – სარჩელები კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევის თაობაზე;; – კანონების და საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის შემოწმება; ასევე ადმინისტრაციული აქტების შესაბამისობის შემოწმება კონსტიტუციასთან, კანონმდებლობასთან და საერთაშორისო ხელშეკრულებებთან; – კომპეტენციის გამიჯვნის შესახებ დავები სასამართლოებს შორის, ასევე მმართველობის ორგანოებს შორის; – არჩევნებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის შემოწმება. – მინისტრთა წინააღმდეგ ბრალდებასთან დაკავშირებული საქმეები.	10 (აქედან 5 დამატებითი)	37 ათასი	1	2009
					5	2008
					4	2007

უნგრეთი	მოსამართლეები აირჩევიან პარლამენტი წევრთა 2/3–ის მიერ. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატს პარლამენტს წარმდგენი კომიტეტი წარუდგენს.	სასამართლოს უფლება აქვს განიხილოს: – მიღებული, თუმცა ჯერ კიდევ ძალაში არშესული კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი; – მოსამართლის მიმართვის საფუძველზე დაუყოვნებლივ ან 30 დღის ვადაში კონკრეტულ საქმეში გამოყენებული კანონის კონსტიტუციურობა; – კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე კონკრეტულ საქმეში გამოყენებული წესის კონსტიტუციურობა; – კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილების კონსტიტუციასთან შესაბამისობა; – მთავრობის, პარლამენტის წევრთა ერთი მეოთხედის ან მთავარი პროკურორის მიმართვის საფუძველზე კანონის ან მისი ნებისმიერი ნაწილის კონსტიტუციურობა; – კანონების საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობა.	15	9.9 მლნ	24	2013
					42	2012
ლიტვა	სასამართლოს წევრებს ლიტვის	საკონსტიტუციო სასამართლო:	9	2,9 მლნ	2	2013

	სეიმი ირჩევს იმ კანდიდატებიდან, რომელთაგან სამს – პრეზიდენტი, სამს – სეიმის სპიკერი და სამს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ასახელებს.	– აფასებს და ადგენს, შეესაბამება თუ არა ლიტვის კანონმდებლობა და სეიმის, პრეზიდენტის და მთავრობის მიერ მიღებული სხვა სამართლებრივი აქტები ლიტვის კონსტიტუციას; – ამზადებს დასკვნებს იმასთან დაკავშირებით, ჰქონდა თუ არა ადგილი საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას პრეზიდენტის ან სეიმის წევრების არჩევნების დროს; – აძლევს თუ არა ჯანმრთელობის მდგომარეობა პრეზიდენტს მუშაობის გაგრძელების საშუალებას; – რამდენად შეესაბამება ლიტვის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები კონსტიტუციას; – წინააღმდეგობაშია თუ არა კონსტიტუციასთან იმ სეიმის წევრების ან სახელმწიფო პირების კონკრეტული ქმედებები, რომელთა მიმართ დაწყებულია იმპიჩმენტის პროცედურა.			3 2	2012 2011
პორტუგალია	მოსამართლეთაგან 10-ს პარლამენტი ირჩევს, ხოლო 3-ს – თავად არჩეული მოსამართლეები.	საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს: – კონსტიტუციურობის წინასწარ დადგენას; – კონსტიტუციურობის და კანონიერების ზოგად შემოწმებას; – კონსტიტუციურობის და კანონიერების კონკრეტულ შემოწმებას.	13	10,4 მლნ	90	2013

რუმინეთი	3 მოსამართლეს ირჩევს წარმომადგენელთა პალატა, 3-ს – სენატი, 3-ს კი ნიშნავს რუმინეთის პრეზიდენტი.	საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს: – კანონის პრომულგაციამდე მის კონსტიტუციასთან შესაბამისობას; – ხელშეკრულებათა და საერთაშორისო შეთანხმებათა თავსებადობას რუმინეთის კონსტიტუციასთან; – კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობას; – საჯარო უწყებებს შორის საკონსტიტუციო ხასიათის დავებს; – უზრუნველყოფს რუმინეთის პრეზიდენტის არჩევნებზე პროცედურის დაცვას და ადასტურებს არჩევნების შედეგებს; – ადასტურებს იმ პირობებს, რომლებიც ამართლებენ რუმინეთის პრეზიდენტის ფუნქციების დროებით შესრულებას და ატყობინებს მოპოვებული ინფორმაციის შესახებ პარლამენტსა და მთავრობას; – გასცემს რეკომენდაციას რუმინეთის პრეზიდენტის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ; – ზედამხედველობას უწევს რეფერენდუმების ჩატარების პროცედურის დაცვას და ადასტურებს მის შედეგებს; – ამოწმებს მოქალაქეთა მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის პირობებს; – იღებს გადაწყვეტილებებს პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით.	9	22,3 მლნ	120	2012
					181	2011
					184	2010
					189	2009
					157	2008
იტალია	ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით 3 მოსამართლეს ირჩევს უზენაესი სასამართლო, ერთს – სახელმწიფო საბჭო და ერთს – აუდიტორთა სასამართლო. მოსამართლეთა მეორე ხუთეულს ირჩევს	საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს: – სახელმწიფო უწყებებისა და ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოცემული კანონებისა და კანონის ძალის მქონე აქტების კონსტიტუციურობის საკითხი; – სახელმწიფო უწყებებსა და ადგილობრივ ორგანოებს შორის უფლებამოსილებების გადანაწილებაზე	15	47,27 მლნ	36	2013
					35	2012

	პარლამენტი ხმათა ორი მესამედით, მოსამართლეთა მესამე ხუთეულს კი ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი.	წარმოშობილი დავა.			38	2011
					42	2010
					38	2009
ესპანეთი	ესპანეთის მეფე ნიშნავს მოსამართლეებს მას შემდეგ, რაც კონგრესი წარადგენს 4 მოსამართლის კანდიდატურას, 4 მოსამართლეს წარადგენს სენატი, 2 მოსამართლეს – მთავრობა და 2-ს სასამართლოს გენერალური საბჭო.	საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს: – კანონის, საკანონმდებლო აქტისა და ნებისმიერი კანონის ძალის მქონე აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობა; – კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დარღვევის ფაქტებზე ინდივიდუალური სარჩელები; – ცენტრალურ ხელისუფლებასა და ავტონომიურ წარმონაქმნებს შორის დავა იურისდიქციის საკითხებზე; – საკონსტიტუციო ორგანოებს შორის დავა; – დავა ადგილობრივ თვითმმართველობას შორის; – საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის საკითხი; – ავტონომიური წარმონაქმნების მიერ მიღებული და რატიფიცირებული დებულებებისა და რეზოლუციებთან მიმართებით წარმოქმნილი სადავო საკითხები.	12	60,92 მლნ	25	2011
					20	2010
					30	2009
					36	2008
					50	2007
საფრანგეთი	საკონსტიტუციო საბჭოს 3 წევრს ნიშნავს პრეზიდენტი, 3-ს – ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარე და 3-ს – სენატის თავმჯდომარე.	საკონსტიტუციო საბჭო უფლებამოსილია: – განიხილოს საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებულ საჩივრები და დაამტკიცოს არჩევნების შედეგები; – განიხილოს ეროვნულ ასამბლეასა და სენატში	9	65,9 მლნ	39	2013
					22	2012
					16	2011

		არჩევასთან დაკავშირებული სადავო საკითხები; – განიხილოს რეფერენდუმთან დაკავშირებული დავები; – სახელმწიფო საბჭოს ან საკასაციო სასამართლოს წარდგინებით კონკრეტულ საქმეზე გამოსაყენებელი ის კანონები, რომელიც შესაძლოა კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდეს			11	2010

* მოსამართლეთა დატვირთულობის მაჩვენებელი გამოთვლილია კონკრეტული ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობისა და წლის განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის საშუალო არითმეტიკულის გაანგარიშებით.

გამოყენებული ლიტერატურა

სტატიები/ნაშრომები:

1. *ეროვნული ასამბლეა საფრანგეთის ინსტიტუტებში* (2011), ეროვნული ასამბლეა;
2. 2011, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე ;
3. იტალიის საკონსტიტუციო სასამართლო – მიმოხილვა ;
4. *საკონსტიტუციო სასამართლოების შემადგენლობა,* ვენეციის კომისია (ევროსაბჭო), 1997, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე ;
5. სლოვენიის საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის ანგარიში ;
6. *სასამართლო განხილვა ესპანეთში: საკონსტიტუციო სასამართლო,* ლოიოლას ლოს ანჯელესის სამართლის მიმოხილვა, *Vol. 41:529*, 538, ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე

კანონმდებლობა:

1. ალბანეთის კონსტიტუცია ;
2. ალბანეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაციისა და ფუნქციონირების შესახებ კანონი №8577 ;
3. ავსტრიის კონსტიტუცია ;
4. გერმანიის კანონი ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ;
5. გერმანიის კანონი მოსამართლეთა შესახებ ;
6. ესპანეთის კონსტიტუცია ;
7. იტალიის კონსტიტუცია
8. ლიხტენშტაინის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ აქტი ;
9. ლიტვის კონსტიტუცია ;
10. ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონი
11. ორგანული კანონი ;
12. პორტუგალიის კონსტიტუცია ;
13. რუმინეთის კანონი №47/1992 ორგანიზაციისა და მოქმედების შესახებ;
14. რუმინეთის კონსტიტუცია
15. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონი ;
16. საფრანგეთის კონსტიტუცია ;
17. სლოვენიის კონსტიტუცია ;
18. სლოვენიის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ აქტი ;
19. საკონსტიტუციო სასამართლოს პროცედურული წესები ;
20. საკონსტიტუციო საბჭოს შესახებ ორგანული კანონი ;
21. უნგრეთის კონსტიტუცია ;
22. უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონი ;

ოფიციალური ვებგვერდები:

1. ალბანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, მოსამართლეთა შემადგენლობა ;
2. ალბანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, სტატისტიკა ;
3. ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი, იურისდიქცია ;
4. ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი, სტატისტიკა ;
5. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი, სასამართლოს ორგანიზაცია ;
6. ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი ;
7. იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს სტატისტიკა ;
8. ლიხტენშტაინის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი ;
9. ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლო – სტატისტიკა;
10. პორტუგალიის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური მონაცემები ;
11. საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს ოფიციალური მონაცემები ;
12. სლოვენიის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, მოსამართლეთა შემადგენლობა ;
13. უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს სტატისტიკა.